

ირინე დარჩია

E-mail: irine.darchia@tsu.ge

ირინე დარჩია ქართული და კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობებს დაეუფლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ახალი ბერძნული ენა და კულტურა შეისწავლა ათენის ეროვნულ და კაპოდისტრიასის სახელობის უნივერსიტეტში. სასწავლო პრაქტიკის კურსი გავლილი აქვს იენისა და ზაარბრიუკენის უნივერსიტეტებში.

ირინე დარჩიას დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია – *კლატონის „ფედონი“ (ლიტერატურა, ფილოსოფია, მითოლოგია, მისტიკა)* და სადოქტორო ნაშრომი – *ფერის ფენომენი ბერძნულ ტრაგედიაში*.

ირინე დარჩია არის კლასიკური ფილოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში და ტემპუსის ეროვნული ოფისის უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტი. იგი სხვადასხვა დროს იყო თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე.

ირინე დარჩია არის ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კლასიკური ფილოლოგიის მოდულის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი ევროპული ლიტერატურის საერთაშორისო სადოქტორო პროგრამისა, რომელიც ხორციელდება ბოლონიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

ირინე დარჩია ასწავლის თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში, ხოლო როგორც მიწვეულ პროფესორს მას სასწავლო კურსები და საჯარო ლექციები წაკითხული აქვს საბერძნეთის, იტალიის, ნორვეგიისა და გერმანიის უნივერსიტეტებში. იგი ასწავლიდა აგრეთვე ახალ ბერძნულს საქართველოში ბერძნული დიასპორის წარმომადგენლებს და ახალი ბერძნული ენის, ბერძნული და ევროპული კულტურის საზაფხულო სკოლის მსმენელებს კუნძულ კალიმნოსზე.

ირინე დარჩიას გამოქვეყნებული აქვს 5 წიგნი და 40-ზე მეტი სტატია ქართულ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. იგი არის ორი მონოგრაფიის, ფერის აღმნიშვნელ ტერმინთა ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონის ავტორი, ძველი და ახალი ბერძნული ენების შედარებითი გრამატიკის და ახალბერძნულ-ქართული ლექსიკონის თანაავტორი. იმავდროულად ირინე დარჩია საერთაშორისო ჟურნალ ფაზისის სარედაქციო კოლეგიის, ინსტიტუტებისა და კულტურების აკადემიის საერთაშორისო გამოცემა პაპირუსების (საბერძნეთი) სამეცნიერო საბჭოს წევრია.

ირინე დარჩია სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო სემინარებში, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, რომლებიც ეძღვნება კლასიკურ

ფილოლოგიას, ნეოგრეცისტიკას, უმაღლესი განათლების პრობლემატიკას და რომლებიც ტარდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ქართულის გარდა ირინე დარჩია ფლობს ინგლისურ, რუსულ და ახალ ბერძნულ ენებს. მან ასევე იცის ძველი ბერძნული და ლათინური. აკადემიური მიზნებისთვის იყენებს იტალიურსა და გერმანულს. ინგლისურიდან, ძველი და ახალი ბერძნული ენებიდან ქართულად თარგმნის მხატვრულ ლიტერატურას.

ირინე დარჩია არის ინსტიტუტებისა და კულტურების აკადემიის სამეცნიერო საბჭოს, განათლებისა და კვლევის ინსტიტუტის (საბერძნეთი), პლატონისტა საერთაშორისო ასოციაციის წევრი და ბერძნული ენის გავრცელების ორგანიზაციის საპატიო წევრი.